განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

# უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

**სამაგისტრო პროგრამა პედიატრიული რეაბილიტაცია**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი**

შეფასების თარიღი 5.11.2019წ.

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი : 11. 11. 2019 წ.

თბილისი

2019

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი<br><br>საჯარო სამართლის იურიდიული პირი<br>(სსიპ) |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 211328703 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | სამაგისტრო პროგრამა „პედიატრიული რეაბილიტაცია“ |
| განათლების საფეხური | მეორე საფეხური/მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | პედიატრიული რეაბილიტაციის მაგისტრი<br>0906 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 120 კრ. |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ლია ბუღაძე,<br>კავშირი ,,ადამიანი და ბუნება“,<br>შპს ,,თერაპიის სახლი“ საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ლანა ბოკუჩავა<br>ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ქეთევან ბერიძე<br>სფასსს უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა პედიატრიული რეაბილიტაციის სამაგისტრო პროგრამის შემუშავების წესი განსაზღვრულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულებით. პროგრამა ინიცირებულია პროგრამის ხელმძღვანელების მიერ , გათვალისწინებულია დამსაქმებელთა აზრი და რეაბილიტაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები.
პროგრამა აკრედიტებულია 2011 წლის 21 ოქტომბერს.
კურსის მოცულობაა 120 კრედიტი - 3600 საათი, აქედან 1200 საათი არის საკონტაქტო და 2400 დამოუკიდებელი.

ამჟამად, პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, რომელიც გრძელდება 2 წელი, 4 სემესტრი,
1 კრედიტი - 30 სთ. საათები გადანაწილებულია სალექციო, საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაოებისათვის. 30 საათიდან 10 საათი არის საკონტაქტო და 20 საათი დამოუკიდებელი სამუშაოსათვის. არსებობს ძირითდი და არჩევითი სილაბუსები. მეორე სემესტრის ბოლოს ხდება სამაგისტრო ნაშრომზე ფიქრი და ზრუნვა, 4 სემესტრის გავლის შემდეგ, ზაფხულის დროის გამოყენებით, შემოდგომაზე ხდება სამაგისტრო ნაშრომის პრეზენტაცია.
არსებობს მჭიდრო კავშირი სტუდენტებსა და მასწავლებლებს შორის. საკონსულტაციო შეხვედრების გაწერილი საათების გარდა, სტუდენტს ინდივიდუალური შეთანხმების საფუძველზე, შეუძლია შეხვდეს მასწავლებელს და ჩაიტაროს კონსულტაცია მისთვის აქტუალურ თუ პრობლემატურ საკითხებზე.
სამაგისტრო პროგრამა ,,პედიატრიული რეაბილიტაცია“ ორიენტირებულია მაგისტრანტის აქტიურ ჩართულობაზე სასწავლო პროცესში, რაც მოიცავს სწავლებას ცალკეულ შემთხვევებზე, შემთხვევების განხილვას, დისკუსიას, ინტერაქტიურ სწავლებას, სემინარების ორგანიზებას და პროექტებში მაგისტრანტების ჩართულობას.
სამაგისტრო პროგრამა ,,პედიატრიული რეაბილიტაცია“ სწავლების ორივე წელს მოიცავს განსხავავებულ მოდულებს, პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების ფორმები შეესაბამება ამ კომპონენტის წარმატებით დაძლევის შესაძლებლობას. თითოეული მეთოდი ცალ-ცალკე და მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. სამაგისტრო პროგრამის ყველა მოდული სწავლების შესაბამისი ეტაპის ადეკვატურია. თითოეული მათგანი ეფუძნება მაგისტრანტის მიერ უკვე მიღებულ ცოდნას და უნარებს.
სწავლების პირველ წელს ექიმ-პაციენტის ურთიერთობის სამართლებრივ და ბიოეთიკურ ასპექტებს მოსდევს ისეთი სპეციფიკური ნაწილები, რომელიც ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის გამომწვევი დაავადებების, განვითარების ანომალიების შესახებ ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების შეძენას;
პროგრამა დაასრულა 16 მაგისტრანტმა და მიიღო მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი ჩატარდა 5.10.2019 წ. განათლების ხარისხის განვითარების ცენტრიდან წარდგენილი იყო ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

- ლია ბუღაძე (თავჯდომარე);

- ქეთევან ბერიძე (წევრი);
- ლანა ბოკუჩავა (წევრი).

შეხვედრა ჩატარდა ადმინისტრაციულ შენობაში, შედგენილი იყო დღის წესრიგი და ვიზიტი მიმდინარეობდა დღის წესრიგის სრული დაცვით.

განხორციელდა შეხვედრა დაწესებულების ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, კანცლერის მოადგილესთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, ასევე, კურსდამთავრებულებთან, პირველი და მეორე კურსის სტუდენტებთან. შეხვედრას ესწრებოდნენ 13 სტუდენტი და მათთან საუბარი ძალიან საინტერესო იყო, რადგან სწავლების პროცესის შესახებ ობიექტური ინფორმაცია მივიღეთ;

განხორციალდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება, სადაც კარგად ჩანს როგორი შესაძლებლობები ეძლევათ სტუდენტებს თავიანთი თეორიული ცოდნა გამოიყენონ პრაქტიკაში;

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამა შედგენილია თსსუს მაგისტრატურის დებულების შესაბამისად, მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით; პროგრამის პედიატრიული რეაბილიტაცია , შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს; სამაგისტრო პროგრამის პედიატრიული რეაბილიტაციის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

- **რეკომენდაციები**
- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამაში ცვლილებები განხორციელდა პროგრამების აკრედიტაციის განახლებული სტანდარტების, საერთაშორისო მოთხოვნების, ასევე კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და მაგისტრანტთა მოსაზრებების გათვალისწინებით.

პროგრამის აკრედიტაციის შემდგომ განხორციელებული ცვლილებები განხილულია ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის საბჭოზე (დანართი N 5.5) 2 მოდული გადავიდა ერთი სემესტრიდან მეორეში, 2 მოდულის შინაარსი ნაწილობრივ შეიცვალა;

საჭიროებისა და მოთხოვნის საფუძველძე შეიცვალა კრედიტების რაოდენობა. არჩევითი სილაბისებისთვის გამოყოფილი იყო 2 კრედიტი, ამჟამად გაიზარდა 6 კრედიტამდე. 8-მდე გაიზარდა ელექტიური შეთავაზებული სასწავლო კურსების რაოდენობაც - 16 კრედიტია - 8 სილაბუსისათვის.

პროგრამაში განხორციელდა ცვლილებები მაგისტრანტთა მიერ პრაქტიკული აქტივობების გაძლიერების მიზნით:

4 კრედიტი დაემატა შშმ ბავშვთან სარეაბილიტაციო აქტივობებს;
5 კრედიტი დაემატა პროგრამის ინტერნაციონალიზაციისაკენ მიმართულ კომპონენტს - პროფესიულ სამედიცინო ინგლისურს (ზოგადი სამედიცინო ტერმინოლოგიისა და პაციენტთან კომუნიკაციური უნარების განვითარებისთვის, ასევე, საძიებო სისტემების გამოყენების საკითხები);
განხორციელდა სტრუქტურული ცვლილებები (ზოგი მოდული გადანაცვლდა ელექტიურ მოდულად

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
| --- |
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |
| თსსუ-ის პედიატრიული რეაბილიტაციის სამაგისტრო პროგრამის მიზანს წარმოადგენს ბავშვთა რეაბილიტოლოგების მომზადება, რომლებსაც ექნებად მაღალკვალიფიციური ცოდნა და პროფესიული უნარ-ჩვევები. მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული პროგრამაში, რომელიც რეალისტური და მიღწევადია. კურსდამთავრებულები ნამდვილად ადვილად შეძლებენ რეალური დახმარების გაწევას შშმ ბავშვებისთვისა და მოზარდებისთვის. გუნდური მუშაობის საფუძველზე ( რომელსაც პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს)შეძლებენ ორგანიზმის ფუნქციური მდგომარეობის გაუმჯობესება და სიცოცხლის ხარისხის ამაღლება. სამაგისტრო პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ეროვნული და საერთაშორისო პროფესიული გამოცდილების საფუძველზე კვალიფიციური სპეციალიტის მომზადება სარეაბილიტაციო, სპორტული და სამედიცინო ცენტრებისთვის.<br>სწავლება მიმდინარეობს თსსუ-ის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრებში, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით (ემორის უნივერსიტეტის გამოცდილება).<br>პროგრამის მიზნები შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს. სამაგისტრო პროგრამის შემუშავების წესი განსაზღვრულია თსსუ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მაგისტრატურის დებულებით. პროგრამის მიზნების შემუშავებაში მონაწლეობას ღებულობდნენ პროგრამის ხელმძღვანელები, რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები, დამსაქმებლებლი და კურსდამთავრებულები. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პროფესურასა და სტუდენტებს შორის არსებული დამოკიდებულება, რომელიც ეფუძნება პროფესიულ და მეგობრულ ურთიერთობას. მათ შორის ჯგუფური თუ ინდივიდუალური კონტაქტი ამაღლებს სტუდენტებში ცოდნის შეძენის სურვილს. განათლების მეორე საფეხურზე მიღებული ცოდნა საშუალებას მიცემს სტუდენტებს სწავლისა და კვლევის გაგრძელებას განათლების შემდგომ საფეხურზე. პედიატრიული რეაბილიტაციის სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს კურსდამთავრებულებისა და პოტენციური დამსაქმებლების ინტერესებს.<br>სამაგისტრო პროგრამის ,,პედიატრიული რეაბილიტაცია“ კურსდამთავრებული შესაძლოა დასაქმდეს როგორც ჰოსპიტალურ სექტორში, ასევე პირველადი ჯანდაცვის დონეზე: ამბულატორიებსა, საოჯახო მედიცინის ცენტრებში, სარეაბილიტაციო, გამაჯანსაღებელ ცენტრებში, ბავშვთა და მოზარდთა ფსიქონევროლოგიურ ცენტრებსა და დეპარტამენტებში.<br>სამაგისტრო პროგრამის კურსამთავრებულები ბაზარზე იქნებიან მოთხოვნადი, |

რადგან სარეაბილიტაციო გამაჯანსაღებელ ცენტრებში დახმარების მიზნით მისული კონტიგენტი სამწუხაროდ დიდია, რომლებსაც სჭირდებათ მაღალკვალიფიციური რეაბილიტაციის ჩატარება.
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს გააჩნია ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რაც თავისთავში მოიცავს აკადემიური პროგრამების ინტერნაციონალიზაციას, უცხოელი პროფესორების მოწვევას აკადემიური და სამედიცინო საქმიანობის განხორციელებისათვის საქართველოში, ასევე საერთშორისო სტუდენტების მოზიდვას და კვლევების ინტერნაციონალიზაციას.
პედიატრიული რეაბილატაციის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამები.
სამაგისტრო პროგრამის მიზანი სრულად შეესაბამება მოთხოვნებს, რომელიც საჭიროა პოსტდიპლომური საგანმანათლებლო პროგრამისთვის რეაბილიტაციაში.
პროგრამა ინიცირებულია პროგრამის ხელმძღვანელების მიერ, გათვალისწინებულია დამსაქმებელთა აზრი და რეაბილიტაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებიულთა გამოკითხვის შედეგები.

პროგრამაში ცვლილებები განხორციელდა პროგრამების აკრედიტაციის განახლებული სტანდარტების, საერთაშორისო მოთხოვნების, ასევე კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და მაგისტრანტთა მოსაზრებების გათვალისწინებით.

პროგრამის აკრედიტაციის შემდგომ განხორციელებული ცვლილებები განხილულია ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის საბჭოზე (დანართი N 5.5) 2 მოდული გადავიდა ერთი სემესტრიდან მეორეში, 2 მოდულის შინაარსი ნაწილობრივ შეიცვალა;

საჭიროებისა და მოთხოვნის საფუძველძე შეიცვალა კრედიტების რაოდენობა. არჩევითი სილაბისებისთვის გამოყოფილი იყო 2 კრედიტი, ამჟამად გაიზარდა 6 კრედიტამდე. 8-მდე გაიზარდა ელექტიური შეთავაზებული სასწავლო კურსების რაოდენობაც - 16 კრედიტია - 8 სილაბუსისათვის.

პროგრამაში განხორციელდა ცვლილებები მაგისტრანტთა მიერ პრაქტიკული აქტივობების გაძლიერების მიზნით:

- 4 კრედიტი დაემატა შშმ ბავშვთან სარეაბილიტაციო აქტივობებს;
- 5 კრედიტი დაემატა პროგრამის ინტერნაციონალიზაციისაკენ მიმართულ კომპონენტს - პროფესიულ სამედიცინო ინგლისურს (ზოგადი სამედიცინო ტერმინოლოგიისა და პაციენტთან კომუნიკაციური უნარების განვითარებისთვის, ასევე, საძიებო სისტემების გამოყენების საკითხები);
- განხორციელდა სტრუქტურული ცვლილებები (ზოგი მოდული გადანაცვლდა ელექტიურ მოდულად

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

მტკიცებულებები/ინდიკატორები
 თსსუ-ს წესდება

|  |
| --- |
|  თსსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა<br> ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დებულება<br> დებულება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მაგისტრატურის შესახებ<br> სამაგისტრო პროგრამა პედიატრიული „პედიატრიული რეაბილიტაცია“<br> საგანმანათლებო პროგრამის სილაბუსები<br> ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა<br> გამოკითხვის ანალიზი<br> გამოყენებული კითხვარები<br> ფაკულტეტის მიერ დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი<br> UNICEF -შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები საქართველოში<br> Call for action, Reahabilitation 2030<br> სერთიფიკატები<br> შეხვედრების ოქმები<br><br>o |
| რეკომენდაციები:<br><br>o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პედიატრიული რეაბილიტაციის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, არის მიღწევადი და რეალისტური, შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას, შეესაბამება დამსაქმებელთა მოთხოვნებს, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ საკითხებში. სასწავლო კურსების შინაარსი, მოცულობა და სასწავლო მეთოდები შედგენილია ისე, რომ აკმაყოფილრბს სწავლების მიზანს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ევროპული კრედიტ-სატრანსფერო სისტემის შესაბამისად.

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ეძლევა საშუალება იმუშაოს სარეაბილიტაციო ცენტრებში, პრაქტიკასთან ერთდ განაგრძოს ურთიერთობა ფაკულტეტის პროფესურასთან, გაარჩიოს მათთან ერთდ საინტერესო და პრობლემატური შემთხვევები და განაგრძოს სწავლა შემდეგ საფახურზე.

,,პედიატრიულ რეაბილიტაციაში“ სამაგისტრო პროგრამის ცალკეული კომპონენტის/საგნის სილაბუსში ასახული სწავლის შედეგების ერთობლიობა, საბოლოო ანგარიშით, განსაზღვრავს პროგრამის ზოგად და დარგობრივ შედეგებს და შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეორე საფეხურით აღმწერით დადგენილ სტანდა

სამაგისტრო პროგრამის მოდულში დაბალანსებულია თეორიული სწავლება და პრაქტიკული საქმიანობა. თეორიული სწავლება მოიცავს ლექციებს, სპეციალური ლიტერატურის დამუშავებას, რეფერირებას, წყაროთა ნუსხის შედგენას, რეფერატული ხასიათის მოხსენების მომზადებას, სამეცნიერო–პრაქტიკულ კონფერენციებში მონაწილეობას. თეორიული მეცადინეობა ხორციელდება საქმიანობიდან მოუწყვეტლივ. თვითმომზადების მიზნით კვირაში ერთი დღე სემინარული მეცადინეობის ან „ბიბლიოთეკის“ დღეა. პრაქტიკული საქმიანობა კი შემოიფარგლება კლინიკურ გარჩევებზე დასწრებით, კლინიკურ კონფერენციებში მონაწილეობით; რაც ასევე გულისხმობს სამანიპულაციებში მუშაობას, გუნდურ მუშაობას შშმ ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრში. სამაგისტრო პროგრამა ,,პედიატრიული რეაბილიტაცია“ მოიცავს 120 ECTS კრედიტს

პროგრამის ხანგრძლივობა ორი წელია, 4 სემესტრი, 120 კრედიტს. კრედიტები გადანაწილებულია სალექციო, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის. პროგრამის ფარგლებში სტუდენტები ეცნობიან გუნდური მუშაობის პრინციპებს, ექიმ-პაციენტის ურთიერთობის საკითხებს, საკომუნიკაციო უნარებს, სამართლებრივ და ბიოეთიკურ საფუძვლებს, ასევე ინფორმაციული ტექნოლოგიებით ეფექტური სარგებლობის წესებს.

სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას,

სწავლის შედეგებზე დაკვირვება შესაძლებელია შეფასების სხვადასხვა ფორმებით:

 აკადემიური აქტიურობა ( 0-20 ქულა)

 შუალედური ჩათვლა (0-20 ქულა )

|  |
|---|
| - პრეზენტაცია ( 0-10 ქულა)<br>- ქვიზები (0-10 ქულა)<br>- „ქეისის“ ჰოლისტიკური შეფასება ( 0-5 ქულა , იხ .ცხრილი N7)<br>- რეაბილიტაციის მულტიდისციპლინურ გუნდში ჩართულობა (0-10)<br>- პრაქტიკული/კლინიკური უნარ–ჩვევების ათვისება ( 0- 5 ქულა)<br><br>პროგრამა დაასრულა 16 მაგისტრანტმა და მიიღო მაგისტრის აკადემიური ხარისხი |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>- დებულება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მაგისტრატურის შესახებ<br>- სამაგისტრო პროგრამა პედიატრიული „პედიატრიული რეაბილიტაცია“<br>- მიზნების რუქა<br>- სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები<br>- კურიკულუმის რუკა<br>- სასწავლო გეგმა<br>- გამოკითხვების ანალიზი<br>- ფაკულტეტის მიერ დამსაქმებელთა გამოკითხვა<br>- უნივერსიტეტის მკერ კურსდამთავრებულთა გამოკითხვა<br>- მაგისტრანტთა და დოქტორანტთა გამოკითხვა<br>- შეხვედრების ოქმები<br>- სწავლის შედეგების შეფასების წესი<br>- .მემორანდუმები<br>- კურსდამთავრებულთა დასაქმება<br>- მაგისტრანტთა დასაქმება<br>- აგისტრანტთა დასაქმება<br>- სამაგისტრო ნაშრომები<br><br>o |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o |

| შეფასება |
|---|
| o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულებით დარეგულირებულია სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი.<br>პედიატრიული რეაბილიტაციის სამაგისტრო პროგრმაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, რომელიც დაკავშირებულია პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამაზე |

დაშვების წინაპირობა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

მიღების წინაპირობებია: ერთიან (ეროვნულ) სამაგისტრო გამოცდაზე დადებითი შეფასება.

სამაგისტრო პროგრამაზე განაცხადი შეიძლება წარადგინოს მინიმუმ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირმა, თსსუ–ის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა, საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებელთა ზემოაღნიშნული ფაკულტეტის ან მომიჯნავე სპეციალობების კურსდამთავრებულებმა, საზღვარგარეთის ქვეყნების ანალოგიური ფაკულტეტების ფაკულტეტის ან მომიჯნავე სპეციალობების კურსდამთავრებულებმა. მაძიებლებმა წარმატებით უნდა ჩააბარონ: შიდა საუნვერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში. მნიშვნელოვანია ასევე, რომ იტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გაძლიერებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია, რომ აპლიკანტს უნდა ქონდეს ინგლისური ენის ცოდნა B2– ის დონეზე. ხოლო უნივერსიტეტში აპლიკანტის ენის ცოდნის დონე მოწმდება წერით, ტესტირებით. მაგისტრატურაში ჩარიცხვა ხდება წინასწარ გამოცხადებული მისაღები კონტიგენტის ფარგლებში,
სამაგისტრო პროგრამაზე, სპეციალობაში შიდა გამოცდის საკითხების ჩამონათვალი და პროგრამის მოკლე სილაბუსი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- დებულება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მაგისტრატურის შესახებ
- სამაგისტრო პროგრამა „პედიატრიული რეაბილიტაცია“
- გამოკითხვების ანალიზი
- ფაკულტეტის მიერ დამსაქმებელთა გამოკითხვა
- უნივერსიტეტის მკერ კურსდამთავრებულთა გამოკითხვა
- თსსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული მაგისტრანტთა და დოქტორანტთა გამოკითხვის ანალიზი
- ტესტების ნიმუშები სპეციალობაში

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

| |
|---|
| ინტერნაციონალიზმის პოლიტიკასთან დაკავშირებით მაძიებელს უნდა ჰქონდეს ინგლისური ენის B2 - ის დონის დამადასტურებელი მოწმობა და შიდა გამოცდების დროს აბარებს ინგლისური ენის ტესტს. |
| **შეფასება**<br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| **2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი** |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>პედიატრიული რეაბილიტაციის სამაგისტრო პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.სამაგისტრო პროგრამა ,,პედიატრიული რეაბილიტაცია“ სწავლების ორივე წელს მოიცავს განსხვავებულ მოდულებს<br>საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი განსაზღვრულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულებით. პროგრამა ინიცირებულია პროგრამის ხელმძღვანელების მიერ , გათვალისწინებულია დამსაქმებელთა აზრი და რეაბილიტაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები.<br>პროგრამა აკრედიტებულია 2011 წლის 21 ოქტომბერს.<br>ამჟამად, პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, რომელიც გრძელდება 2 წელი, 4 სემესტრი,<br>1 კრედიტი - 30 სთ. საათები გადანაწილებულია სალექციო, საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაოებისათვის. 30 საათიდან 10 საათი არის საკონტაქტო და 20 საათი დამოუკიდებელი სამუშაოსათვის. არსებობს ძირითდი და არჩევითი სილაბუსები. მეორე სემესტრის ბოლოს ხდება სამაგისტრო ნაშრომზე ფიქრი და ზრუნვა, 4 სემესტრის გავლის შემდეგ, ზაფხულის დროის გამოყენებით, შემოდგომაზე ხდება სამაგისტრო ნაშრომის პრეზენტაცია.<br>არსებობს მჭიდრო კავშირი სტუდენტებსა და მასწავლებლებს შორის. საკონსულტაციო შეხვედრების გაწერილი საათების გარდა, სტუდენტს ინდივიდუალური შეთანხმების საფუძველზე, შეუძლია შეხვდეს მასწავლებელს და ჩაიტაროს კონსულტაცია მისთვის აქტუალურ თუ პრობლემატურ საკითხებზე.<br>სასწავლო პროგრამა მოიცავს არჩევით თავისუფალ კომპონენტებს, სტუდენტებისთვის შეთავაზებული არჩევითი კომპონენტები 6 კრედიტია. შეთავაზებულია ალტერნატიული სილაბუსები, მათი სასწავლო და კვლევით ინტერესებიდან გამომდინარე. პროგრამაში |

თავისუფალი, არჩევითი სილაბუსები დალაგებულია სემესტრების მიხედვით.

სამაგისტრო პროგრამა ,,პედიატრიული რეაბილიტაცია“ ორიენტირებულია მაგისტრანტის აქტიურ ჩართულობაზე სასწავლო პროცესში, რაც მოიცავს სწავლებას ცალკეულ შემთხვევებზე, შემთხვევების განხილვას, დისკუსიას, ინტერაქტიურ სწავლებას, სემინარების ორგანიზებას და პროექტებში მაგისტრანტების ჩართულობას. სამაგისტრო პროგრამა ,,პედიატრიული რეაბილიტაცია“ სწავლების ორივე წელს მოიცავს განსხავავებულ მოდულებს, პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების ფორმები შეესაბამება ამ კომპონენტის წარმატებით დაძლევის შესაძლებლობას. თითოეული მეთოდი ცალ-ცალკე და მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. სამაგისტრო პროგრამის ყველა მოდული სწავლების შესაბამისი ეტაპის ადეკვატურია. თითოეული მათგანი ეფუძნება მაგისტრანტის მიერ უკვე მიღებულ ცოდნას და უნარებს.
სწავლების პირველ წელს ექიმ-პაციენტის ურთიერთობის სამართლებრივ და ბიოეთიკურ ასპექტებს მოსდევს ისეთი სპეციფიკური ნაწილები, რომელიც ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის გამომწვევი დაავადებების, განვითარების ანომალიების შესახებ ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების შეძენას;
,,პედიატრიულ რეაბილიტაციაში“ სამაგისტრო პროგრამის მასშტაბით, ისევე როგორც მთლიანად უნივერსიტეტში, მოქმედებს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS). საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების გაანგარიშება და მაგისტრანტის მიღწევების შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების N3, 5.01.2007 შესაბამისად.
დასკვნითი გამოცდის ფორმები საგნების მიხედვით დიფერენცირებულია: ვერბალური, ტესტური, კომბინირებული. შუალედური შეფასებების პარამეტრები უფრო მრავალფეროვანია, ასახულია სილაბუსებში; დასაშვებია მათი ცვალებადობა.
პროგრამის შესახებ ყველა ინფორმაცია ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული მხარისთვის,პროგრამის მოკლე ვერსია განთავსებულია ვებგვერდზე. ახლადჩარიცხულ სტუდენტებთან ტარდება საორიენტაციო შეხვედრა.
პროგრამა შედგენილია თსსუს მაგისტრატურის დებულების შესაბამისად, მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით; პროგრამის პედიატრიული რეაბილიტაცია , შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს; სამაგისტრო პროგრამის პედიატრიული რეაბილიტაციის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დებულება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
- მაგისტრატურის შესახებ
- სამაგისტრო პროგრამა პედიატრიული „პედიატრიული რეაბილიტაცია“
- ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი
- აკადემ.საბჭოს სხდომის ოქმი
- მიზნების რუქა
- სწავლის შედეგები
- კურიკულუმის რუკა

| |
|---|
|  სასწავლო გეგმა<br> სილაბუსები<br> საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, მასში ცვლლებების შეტანისდა გაუქმების წესი<br> გამოკითხვების ანალიზი<br> ფაკულტეტის მიერ დამსაქმებელთა გამოკითხვა<br> უნივერსიტეტის მიერ კურსდამთავრებულთა გამოკითხვა<br> თსსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული მაგისტრანტთა და დოქტორანტთა გამოკითხვის ანალიზი<br> შეხვედრების ოქმები<br> სამაგისტრო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>მნიშვნელოვან მიღწევად მიმაჩნია ურთიერთობის ის დონე რომელიც არსებობს სტუდენტებსა და მასწავლებლებს შორის. სტუდენტებს, მისთვის სასურველ დროს, შეუძლიათ მიიღონ კონსულტაცია საინტერესო და პრობლემატურ საკითხებზე. |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 2.3. სასწავლო კურსი

| |
|---|
| ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>თითეული სასწავლო კურსი შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს.<br>თითეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილია შესაბამისი კრედიტები, რომელთა რაოდენობა შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა ადექვატურია, როგორც ძირითადი, ასევე არჩევითი სილაბუსების შემთხვევაში. საკონტაქტო საათებში შედის ლექციები და პრაქტიკული სემინარები. სწავლის შედეგი ფასდება დადგენილი წესით.<br>თითეულ სილაბასუსში მითითებულია ლიტერატურა და სასწავლო მასალა, რომელიც შეესაბამება დარგის თანამედროვე მიღწევებსა და კვლევებს.<br>კურსის მოცულობაა 120 კრედიტი - 3600 საათი, აქედან 1200 საათი არის საკონტაქტო და 2400 დამოუკიდებელი.<br>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ კვლევების, სტუდენტებთან და მასწავლებლებთან შეხვედრებისა და ინტერნაციონალური პოლიტიკის გაძლიერების საფუძველზე, განხორციელდა ცვლილებები: ელექტიური საგნების რიცხვი გაიზარდა 2-დან 8-მდე, დაემატა პროფესიული ინგლისური ზოგადი და სპეციალური ნაწილი, პირველ და მეორე სემესტრში (სულ 5 კრ.)გადაიხედა სილაბუსების შინაარსები საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება 2003 წლის 17 მარტის, N62.ნ ბრძანების კონტექსტში -“შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი” დადგენის წესის შესახებ ინსტრუქციის შესაბამისად.<br>სტუდენტების დამოიკიდებელი მუშაობის გაზრდის მიძნით პროგრამას დაემატა კინეზიოთერაპიული მკურნალობის მოდული ბავშვებსა და მოზარდებში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br> სამაგისტრო პროგრამა პედიატრიული „პედიატრიული რეაბილიტაცია“<br> მიზნების რუქა<br> სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები<br> სწავლის შედეგების შეფასების წესი<br> კურიკულუმის რუკა<br> სასწავლო გეგმა<br> სილაბუსები<br> გამოკითხვების ანალიზი<br> ფაკულტეტის მიერ დამსაქმებელთა გამოკითხვა |

| |
|---|
|  უნივერსიტეტის მიერ კურსდამთავრებულთა გამოკითხვა<br> მაგისტრანტთა და დოქტორანტთა გამოკითხვა<br> N 62.ნ ბრძანება -საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა ***N62/***ნ ***2003*** წლის ***17*** მარტი ქ. თბილისი ***"***შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი***"*** დადგენის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |

| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი |
| --- |
| “პედიატრიული რეაბილიტაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები სტუდენტს უვითარებს თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნასთან ერთად სამეცნიერო-კვლევით და ტრანსფერულ უნარებს. ამ მიზნის მისაღწევად თეორიული და პრაქტიკული ცოდის შესაბამისობა გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.<br><br>,,პედიატრიულ რეაბილიტაციაში“ სამაგისტრო პროგრამაში გათვალისწინებულია სამეცნიერო უნარების განვითარების ხელშემწყობი კომპონენტები, მაგ. სილაბუსები „მეცნიერული კვლევის მეთოდები, ბიოსტატისტიკის პრინციპები“ და „პროფესიული სამედიცინო ინგლისური“.<br><br>“პედიატრიული რეაბილიტაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები ჩართული იყვნენ სამეცნირო პრაქიკულ ადგილობრივ და საერთაშორისო ტურებში და ტრენინგებში.<br><br>სამაგისტრო პროგრამის პედიატრიული რეაბილიტაცია პრაქტიკული კომპონენტი გაწერილია სასწავლო გეგმის შესაბამისად და სასწავლო პროცესის განმახორციელებელი უზრუნველყოფს სწავლებას, სათანადო ცოდნის მიწოდებას და პრაქტიკული სილაბუსების ფარგლებში რეაბილიტაციისათვის აუცილებელი პროცედურების, უნარების ჩატარებას; როგორც სასწავლო კომპონენტის, ასევე სამეცნიერო კომპონენტის განხორციელებაში სტუდენტს ხელმძღვანელობს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც შეაფასებს სტუდენტის საქმიანობას;<br>დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები სწავლების სამივე ეტაპზე ითვალისწინებს სტუდენტთა მხარდაჭერას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o მემორანდუმები<br>o გამოკითხვების ანალიზი<br>o ფაკულტეტის მიერ დამსაქმებელთა გამოკითხვა<br>o უნივერსიტეტის მიერ კურსდამთავრებულთა გამოკითხვა<br>o თსსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული მაგისტრანტთა და დოქტორანტთა გამოკითხვის ანალიზი<br>o მაგისტრანტთა მიერ მომზადებული პრეზენტაციები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის** |

შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- o

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

„პედიატრიული რეაბილიტაციის" სამაგისტრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შესაბამისობაშია აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურთან, სასწავლო კურსის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს მათ მიღწევას; სასწავლო კურსების სილაბუსებში გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები მრავალფეროვანია და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს.

სწავლების პროცესში გამოყენებულია სწავლების შემდეგი ფორმები:

- ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, ახალი მასალის ზეპირად გადაცემის დროს მულტიმედიური მასალის გამოყენებით;
- თვალსაჩინოებისთვის და ინფორმაციის ვიზუალურად უკეთესი წარმოდგენისთვის გათვალისწინებულია პროცედურის ჩატარების ჩვენება, სადაც პედაგოგი ახორციელებს მანუპულაციას/პროცედურას პაციენტზე სტუდენტების თანადასწრებით ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე,
- კოოპერაციული (ჯგუფური და წყვილებში) მუშაობა, რაც ხელს უწყობს თეორიული ცოდნის გაღრმავება-განმტკიცებას, ასევე ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, უვითარებს კომუნიკაციის უნარებს რებილიტაციის პროცესში მონაწილე პირთა შორის.
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), მაგალითისთვის, ბავშვთა ცერებრული დამბლის მაგალითზე აჩვენებს რა სახის სარეაბილიტაციო მეთოდებია ეფექტური, რა დროიდან, რა ინტენსივობით არის შესაძლებელი სარეაბილიტაციო

პროცედურების დანიშვნა.

- სიტუაციური ამოცანის/შემთხვევის ანალიზი.

მნიშნელოვანი ნაწილი „პედიატრიული რეაბილიტაციის“ სამაგისტრო პროგრამაში უჭროვას პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითრება და გაღრმავება, რისთვისაც გამოყენებულია შემდეგი სწავლება-სწავლის მეთოდები:

- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, სადაც პროფესორი და სტუდენტი აქტიურად ჩართულია სწავლების პროცესში და განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.
- პრაქტიკული მეთოდები სწავლების პროცესში, კერძოდ, კინეზოთერაპიული მეთოდებს პრაქტიკულად ახორციელდბს სტუდენტი მასწავლებლის მეთვალყურეობით.

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად მაგისტრატურა არის უმაღლესი განათლების მეორე საფეხური, რომელიც მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს, სადაც 30 კრედიტი ეთმობა კვლევით კომპონენტს/სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას. ამ მიზნის მისაღწევად პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი სწავლება-სწავლის მეთოდები:

- წერა, პრეზენტაცია/პოსტერი გამოყენებულია, როგორც სწავლების მეთოდები, სადაც სტუდენტებს საშუალება ეძლევათ გააკეთონ ჩანაწერები ახალი მასალის, შესრულებული სამუშაოს, აგრეთვე კონკრეტული სიტუაციური ამოცანების გადაჭრის გზების შესახებ და ამის საფუძვლეზე მოამზადონ პრეზენტაცია და გააკეთონ მოხსენება.
- განმავითრებელი შეფასების მისაღებად გამოყენებულია პროფესორი დაკვირვება მაგისტრანტის მიერ დამოუკიდებლად განხორციელებულ ტექნოლოგიურ ან კვლევის პროცესს.

პროგრამის ხელმძღვანელი, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სამსახური, ისევე როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელების სწავლება-სწავლის მეთოდების შერჩევის შეფასებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო პროგრამა პედიატრიული „პედიატრიული რეაბილიტაცია“
- მიზნების რუქა
- სწავლის შედეგები
- კურიკულუმის რუკა
- სასწავლო გეგმა
- გამოკითხვების ანალიზი
- ფაკულტეტის მიერ დამსაქმებელთა გამოკითხვა
- უნივერსიტეტის მიერ კურსდამთავრებულთა გამოკითხვა
- თსსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული მაგისტრანტთა და დოქტორანტთა გამოკითხვის ანალიზი

| |
|---|
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>მეტი პრაქტიკული სამუშაოები |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
